პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 234 (18776) ოთხშაბათი, 12 ოქტომბერი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

ხარისხის ეტალონები — უფლავათო!

ეს საუბლიკის მრავალი საწარმოს, საამქროს, უბნის, ბრიგადის, სატრანსპორტო და სამშენებლო ორგანიზაციის კოლექტივებმა შესარულეს ეკონომიკური ტრაქტატის 200 წლისთავის ღირსეული შესვედრისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი. ასობით კოლექტივი კი ოქტომბრის რევოლუციის 66-ე წლისთავისათვის ასალი შრომითი გამარჯვების შესახებ უბატაკებს სამშობლოს. არის საფუძველი ვიფარუდოთ, რომ სახალხო მეურნეობის დარგთა კოლექტივების აბსოლუტური უმეტესობა არ გატეხს სიტყვას და წარმატებით გაართმევს თავს საიუბილეოდ ნაკისრ ვალდებულებებს.

ამაზე მეტყველებს მიმდინარე წლის რვა თვის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებელები. როგორც უკვე ცნობილია, რესპუბლიკის მრეწველობამ გადაჭარბებით შესარულა პროდუქციის რეალიზაციის, მისი გამოშვების, წარმოების მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმები. მართალია, ხელშეკრულების დისციპლინის დაცვის მხრივ ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბოლოს და ბოლოს ამ მხრივაც მალე მივალწევთ სასურველ შედეგს.

იმ შრომითს პატაკებში, რომლებიც გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში შემოდის, ვალდებულებით პროდუქციის მიწოდებისა და შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლებთან ერთად ნინა პლანზეა ნამოწეული ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული მონაცემები, რაც სავსებით გასაგებია. პროდუქციის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესების აუცილებლობა გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან. ამსანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა, შეეხო რა პლენუმზე ამ საკითხს, აღნიშნა, რომ ხარისხის ეტალონები ყოველად უშეღავათო, უმაღლესი უნდა იყოს, ასლა მთავარი ყურადღება უნდა მივაყოროთ შეჯიბრების ისეთ მიზნებს, როგორიც არის პროდუქციის ხარისხის ამაღლება, საწარმოო სიმძლავრეების, ნედლეულის, ენერგიისა და სამუშაო დროის გამოყენების გაუმჯობესება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ“ პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ სამინისტროებმა და უწყებებმა ყურადღება ცენტრში უნდა იქონიონ წარმოების ტექნიკური განახლებისა და მაღალხარისხოვან პროდუქციაზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების საკითხები. აქვეა ლაპარაკი იმის თაობაზეც, რომ 1984 წლიდან შემოღებული იქნება სამრეწველო პროდუქციის ატესტაცია ხარისხის ორი კატეგორიის — უმაღლესი და პირველი კატეგორიების მიხედვით.

„აღმოვფხვრათ დისპროპორციები მოსახლეობის ფულადს შემოსავლსა და ამ შემოსავლის სასაქონლო მასით უზრუნველყოფას შორის — ეს სამეურნეო ამოცანაც არის და პოლიტიკურიც“, თქვა ამსანაგმა ე. ა. შევარდნაძემ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე. როცა ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი შემოსავლის სასაქონლო მასით უზრუნველყოფაზე ლაპარაკობს, მარტო მის რაოდენობრივ მაჩვენებელს როდი გულისხმობს. აქ, ცხადია, უწინარესად, იგულისხმება საქონლის ხარისხობრივი მაჩვენებელიც.

ნლეულს მთელი რიგი სამინისტროების, უწყებების, გაერთიანებების, საწარმოების მიერ ქმედითი ღონისძიებების განხორციელების შედეგად პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით საგრძნობი წარმატებებია მოპოვებული. ეს ითქვა კიდეც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის რესპუბლიკური კომისიის სხდომაზე. ცხრა თვეში საპატიო ნუთაუნდიდი 1.128 მილიონი მანეთის ნაწარმი დამზადდა, რაც მოელი სასაქონლო პროდუქციის 15 პროცენტს და საატესტაციო პროდუქციის 48 პროცენტს შეადგენს. ეს კი მნიშვნელოვნად სჭარბობს სოციალისტური ვალდებულებით ნავარაუდევს.

ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში შესანიშნავ შედეგს მიაღწია რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ. მისმა საწარმოებმა მარტო სექტემბერში 67,8 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს. ეს კი ვეგმას 200 პროცენტით და მეტადაც სჭარბობს. მსუბუქი მრეწველობის მუშაკებმა წარმატებას მიზანდასახული, ღრმად გააზრებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელებით მიაღწიეს.

ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებით შედარებით დაჯერებულ მაჩვენებლებს მიაღწიეს აჭარის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქალაქებში თბილისში, ქუთაისში, ჭიათურაში, რაც შეეხება აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მრეწველობას, იგი სახელმწიფო ხარისხის ნიშნით მხოლოდ 4,3 პროცენტს უშვებს. დაბალია ეს მაჩვენებელი ზუგდიდში, მეტი უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის გამოშვების საშუალება უნდა გამონახონ ფოთის სამრეწველო საწარმოებმაც.

დასანანია, რომ შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით საპატიო ნუთაუნდიდი დამზადებული პროდუქციის მოცულობა შეამცირეს ცეკავშირისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საწარმოებმა, რუსთავის ქიმიური ბოჭკოს, ცხინვალის ელექტროვიბრაციული მანქანების, „სოხუმხელსაწყოს“ ქარხნებმა და ზოგიერმა სხვა საწარმომ. არადა, არის იმის რეალური შესაძლებლობა, რომ მნიშვნელოვნად გავადიდოთ და არავითარ შემთხვევაში არ შევამციროთ საპატიო ნუთაუნდიდი აღნიშნულ ნაწარმთა რაოდენობა.

განსაკუთრებით საჭიროროტოა სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის გაუმჯობესების პრობლემა და კიდევ ითქვა ეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე. ყურადღებას იპყრობს წუნდებული და ხარისხდაქვეითებული პროდუქციის ჯერ კიდევ დიდი პროცენტი. ხე-ტყისა და ხის დამშენებელი და სატყეო მეურნეობის სამინისტროთა საწარმოებმა, „კაკაბასტრანსფორმატორის“, „საქელექტრომანქანის“, „საქყოფენერგიის“ საწარმოო გაერთიანებებმა, თბილისისა და სოხუმის გაზის აპარატურის ქარხნებმა მნიშვნელოვნად გაზარდეს კულტურულ-საყოფაცხოვრებო საგნების გამოშვება, მაგრამ ზოგიერთმა მათგანმა ბევრი უნდა გააკეთოს ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის.

ამოცანა ის არის, რომ აუცილებლად განვამტკიცოთ ჩვენი მუშაკა კლასის თავდადებული შრომით მოპოვებული წარმატებები, არც ერთი წუთით არ შევანელოთ ხარისხისათვის ბრძოლა და გავუფრთხილდეთ რესპუბლიკის პრესტიჟს, წინდად დავიცვათ საწარმოს მარკის ღირსება და ნიადაგ განვახორციელოთ სკკპ XXVI ყრილობის მიზანდასახულობანი, ყველაფერი ვიღონოთ პარტიისა და მთავრობის ზემოხსენებული დადგენილების ყველა პუნქტის უფუო რეალიზაციისათვის, სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას წინა პლანზე ნამოვწიოთ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული მაჩვენებლები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ნ. ნ. ყიფშიძის ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მედიცინის მეცნიერების განვითარებაში, სამეცნიერო კადრების მომზადებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნოდარ ნიკოლოზის ძე ყიფშიძე დაჯილდოდეს ხალხთა მეგობრობის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ი. ანდროპოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1983 წლის 11 ოქტომბერი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, საქართველოს პროფსაბჭოსა და ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

15 ოქტომბერი კომუნისტური შაბათობის დღეა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს რესპუბლიკის შრომითი კოლექტივების იმ ინიციატივის საკითხი, რომ 1983 წლის 15 ოქტომბერს მოაწყონ კომუნისტური შაბათობა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის 25 წლისთავის აღსანიშნავად. მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის მშრომელებმა, რომლებმაც ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი კომუნისტური შრომის დამკვიდრებისა და კოლექტივების სრულიად სახალხო მოძრაობის ინიციატორის — მოსკოვის სახარისხებელი დეპოს კოლექტივის პატრიოტულ თაოსნობას, ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება დევიზით „კომუნისტური შრომის დამკვიდრებისა და კოლექტივების მოძრაობის 25 წლისთავს — 25 დამკვრელური კვირა“, თავდადებით შრომობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების, გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის 25 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის.

კრებებზე, რომლებიც მიეძღვნა ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის განცხადებას იმ მილიტარისტულ კურსთან დაკავშირებით, რომელსაც საერთაშორისო საქმეებში ახორციელებს ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი ადმინისტრაცია, შრომითი კოლექტივები ერთსულოვნად უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკას.

კომუნისტური შრომის დამკვრელთა შეკრებებზე, თეორიულ და სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებზე, მუშათა კრებებზე, რომლებიც ამ დღეებში ეწყობა, მშრომელები, ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობა პატივს მიაგებენ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის ვეტერანებს, დამრიგებლებს, წარმოების ნოვატორებს, კისრულობენ გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წლის წარმატებით დამთავრებისათვის.

ამ დღეებში ამიერკავკასიის რკინიგზის, ელექტროტექნიკური, მეტალურგიული, ჩარხსაშენებელი და ხელსაწყოთსაშენებელი, მსუბუქი და კვების მრეწველობის, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვა დარგების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის, ჭიათურის, რესპუბლიკის ბევრი რაიონის საწარმოთა შრომითი კოლექტივები მოსკოვის მშრომელთა მაგალითისამებრ გაგზავნენ ინიციატორები, რომ 1983 წლის 15 ოქტომბრისათვის დაამთავრონ დამკვრელური ვახტი — „კომუნისტური შრომის დამკვრელებისა და კოლექტივების მოძრაობის 25 წლისთავს — 25 დამკვრელური კვირა“, მოაწყონ ამ დღეს კომუნისტური შაბათობა, ხოლო გამომუშავებული სახსრები მოახმარონ ქალაქ თბილისში 2400 ადგილისათვის გათვალისწინებული სანატორიუმ-პროფილაქტორიუმის მშენებლობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონეს რესპუბლიკის შრომითი კოლექტივების პატრიოტული ინიციატივა — მოაწყონ 1983 წლის 15 ოქტომბერს კომუნისტური შაბათობა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის 25 წლისთავის აღსანიშნავად.

მაღალ ორგანიზაციულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეზე შაბათობის მოწყობის მიზნით შეიქმნა შაბათობის შტაბი.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, სამინისტროებსა და უწყებებს, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანოებს წინადადება მიეცათ ფართოდ გაშალონ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა შრომითს კოლექტივებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში შაბათობის დღეს შრომის უდიდესი ნაყოფიერებისა და მუშაობის საუკეთესო საბოლოო შედეგების მისაღწევად შრომითი და მატერიალური რეზერვების მობილიზაციისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ რესპუბლიკის კომუნისტები, კომკავშირელები, ყველა მშრომელი შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულიად სახალხო კომუნისტური შაბათობის დღეს აღნიშნავენ შრომის უდიდესი ნაყოფიერებით, შემოქმედებითი აქტიურობის ახალი პატრიოტული აღმავლობით, დაუცხრომლად იბრძოლებენ სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, უზრუნველყოფენ საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983 წლის გეგმისა და მეთერთმეტე ხუთწლედის სამი წლის ყველა დავალების წარმატებით შესრულებას.

(საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საბჭოების მუშაობა — დღევანდელ მოთხოვნათა დონეზე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხები „ქალაქში სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის განხორციელებისათვის თელავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაობის შესახებ“, „სახურსათო პროგრამის განხორციელებისა და სოფლის სოციალური განვითარებისათვის მარტყოფის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს მუშაობის სტილის შესახებ“ და „დაბის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის კაზრეთის სადაბო საბჭოს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შესახებ“.

ყოველმხრივ გააანალიზა რა თავიანთი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის სახალხო დეპუტატთა აღნიშნული საბჭოების საქმიანობა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა დადებითი მათს მუშაობაში, გამოავლინა ნაკლოვანებანი, დასახა მათი საქმიანობის გაუმჯობესების კონკრეტული, ორგანიზაციული და პოლიტიკური ღონისძიებანი.

უფრო აქტიური გავლენა მოვახდინოთ სოციალურ მუენეგლოგაზე

თელავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაობის საკითხის განხილვისას საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ მისი აღმასკომი (თავმჯომარე — ამხ. ო. ვ. გულიაშვილი) ახორციელებს ქალაქის ეკონომიკის განმტკიცების, საქალაქო მეურნეობის განვითარების ღონისძიებებს და ამ მიზნით იყენებს მუშაობის სხვადასხვა ფორმასა და მეთოდს. საბჭოს სესიებსა და თავის სხდომებზე განსახილველად საკითხთა მომზადებისათვის აღმასკომი ქმნის სპეციალურ სამუშაო ჯგუფებს, რომლებიც სწავლობენ საქმის ვითარებას ადგილებზე, აწყობს გამსვლელ სესიებსა და სხდომებს.

აღმასკომი მუშაობს ქალაქში მოქმედი ზემდგომი დაქვემდებარების სამრეწველო, სამშენებლო, სატრანსპორტო საწარმოებთან და ორგანიზაციებთან კონტაქტით, ეხმარება მათ წარმოების განვითარების, მისი ეფექტიანობის ამაღლების, მშრომელთა საბინაო პირობებისა და სხვადასხვა სახეობის მომსახურების გაუმჯობესების საკითხთა გადაწყვეტაში. მიმდინარე ხუთწლედის პირველ ნახევარში წინა ხუთწლედის შესაბამის პერიოდთან შედარებით ქალაქის სამრეწველო პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 59 მილიონი მანეთით, ანუ 1,7-ჯერ.

მიმდინარეობს მუშაობა ქალაქ თელავში წყალდიდობის შედეგების ლიკვიდაციისა და შესაბამისი დადგენილების შესრულებისათვის. ქალაქის კეთილმოწყობის საკითხთა გადასაწყვეტად აღმასკომი იყენებს მის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა შესაძლებლობებს.

ამავე დროს თელავის საქალაქო საბჭოს აღმასკომი ვერ უზრუნველყოფს ძალებისა და ყურადღების ჯეროვან კონცენტრაციას ქალაქის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს სფეროებში, ვერ იჩენს საკმაო სიმტკიცესა და თანამიმდევრობას მთელი რიგი მწვავე და აქტუალური პრობლემების გადაწყვეტაში.

ნაკლები ყურადღება ეთმობა მოსახლეობის სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, სამედიცინო და სატრანსპორტო მომსახურების ობიექტების მუშაობას. აქ არსებულ ნაკლოვანებებსა და წესების უხეში დარღვევის ფაქტებს იშვიათად აძლევს პრინციპულ შეფასებას აღმასკომი.

არ არის მოგვარებული მკაცრი სახელმწიფო წესრიგი ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობაში. ხშირია თვითნებური და უპრეცედენტო მინაშენებისა და დანაშენების, დაუსაბუთებელი ნებართვის მიცემის, მოქალაქეთა ჩაწერა-ამოწერის წესების დარღვევის შემთხვევები.

საზღვრეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ ზრდაზე საბჭოს, მისი დეპუტატების, დეპუტატთა ფორმირებების გავლენის ამაღლების ღონისძიებანი.

აქტიურად მოქმედებენ საბჭოს მუდმივი კომისიები, დეპუტატთა ჯგუფები, რომლებიც სახავენ კონკრეტულ რეკომენდაციებს თავიანთი კომპეტენციის დარგში, ხშირად შეაქვთ საკითხები აღმასკომის განსახილველად.

1982 წელს მოსახლეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა 50 ტონით მეტი ხორცი, 2,5 ტონით მეტი ყველი, 4 ტონით მეტი მატყლი, 60 ათასი ცალით მეტი კვერცხი, 568 ტონით მეტი ხილი, ვიდრე წინა წელს, იზრდება მოსახლეობის მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება მიმდინარე წელსაც.

ამ მაჩვენებლების მიღწევას ხელს უწყობს სოფლსაბჭოს ინიციატივით დანერგული დისციპლინის განმტკიცების სისტემა, რომელიც ითვალისწინებს დეპუტატთა და აქტივის მიმაგრებას სასოფლო კომლების ჯგუფთან მოსახლეობაში მუდმივი მუშაობისათვის. დადებით გავლენას ახდენს სოფლის ყრილობების მოწყობა უმნიშვნელოვანეს საკითხთა განსახილველად.

სოფლის მშრომელთა აქტიურობის ამაღლებას, სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის გადიდებას ხელს უწყობს საბჭოების ზრდა სოციალურ საკითხთა გადაწყვეტისათვის. მისი ინიციატივითა და რესპუბლიკური ორგანოების დახმარებით შედგენილია სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა. უკანასკნელ წლებში აშენდა ორსართულიანი სავაჭრო ცენტრი და რამდენიმე მაღაზია, 400-ნომრიანი ავტომატური სატელეფონო სადგური, სპორტული ბაგა-ბაღი, ბიბლიოთეკა, შენდება პურკომბინატი, საცხოვრებელი სახლი პედაგოგებისათვის და სხვა ობიექტები. მიმდინარეობს გაზიფიკაციის სამუშაოები და ა. შ.

ამავე დროს სასოფლო საბჭო, მისი აღმასკომი საკმაო კონტროლს და ორგანიზაციას არ უწევენ მომსახურების სფეროს არსებული ობიექტების მუშაობას, რაც მოსახლეობის სამართლიან საყვედურს იწვევს. საყოფაცხოვრებო მომსახურების ბევრი საწარმო მოთავსებულია მუხერხებელ შენობებში, სადაც არ არის მათი ნორმალური ფუნქციონირების ელემენტარული პირობები, ხშირია მათი მუშაობის რეჟიმის უხეში დარღვევებიც, არ არის მოწესრიგებული პურის ვაჭრობა, არ მოქმედებს აბანო. ცუდად მუშაობენ საზოგადოებრივი კვების საწარმოები. სერიოზული ნაკლოვანებებია სამედიცინო მომსახურებაში, აფთიაქის მუშაობაში. ძირეულ გაუმჯობესებას მოითხოვს სოფლის ტერიტორიის სანიტარიული მდგომარეობა. მძიმე მდგომარეობა შეიქმნა სასმელი წყლით მოსახლეობის უზრუნველყოფაში, დამაკმაყოფილებლად არ მუშაობს კავშირგაბმულობის კვანძი და სატელეფონო ქსელი.

აღნიშნული ნაკლოვანებანი ბევრად არის განპირობებული იმით, რომ სოფლსაბჭო ყოველთვის ვერ იყენებს მის განკარგულებაში არსებულ საშუალებებს უმწვავესი საკითხების გადასაწყვეტად, ნაკლებად იზიდავს ამ საქმეში წესიერ ბევრ საწყისებზე მის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს. სოფლსაბჭო, მისი აღმასკომი ჯერ კიდევ სუსტად ეძებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის ეფექტიან გზებს, საკმაოდ გაბედულად არ ნერგავენ ახალს, პროგრესულს, სხვა რეგიონებში შეძენილ დადებითს გამოცდილებას, არ ეწევიან შესაბამის ანალიზურ მუშაობას. ამიტომ ნელა ვითარდება მოსახლეობასთან საზოგადოებრივი მეურნეობის კოოპერაცია, მთლიანად არ არის გამოყენებული პირად მეურნეობებში პირუტყვის სულადობის ზრდის შესაძლებლობანი.

აღმასკომი ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს საკუთარი გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლს, საკმარისად არ ადევნებს თვალს საწარმოებსა და ორგანიზაციებში შრომის დისციპლინის მდგომარეობასაც, არ უწევს მათ ქმედით დახმარებას მისი დარღვევების თავიდან აცილებაში.

მუშაობა არასაკმარისად მიიჩნიეს

ბოლნისის რაიონის კაზრეთისის სახალხო დეპუტატთა სადაბო საბჭო (აღმასკომის თავმჯდომარე — ამხ. რ. ო. აბაშიძე) სერიოზულ ყურადღებას უთმობს დაბის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მისი მოსახლეობის სხვადასხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საკითხებს. საბჭოს სესიებზე, მისი აღმასკომის სხდომებზე ისილავენ საქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო გეგმებისა

(დასასრული მე-2 გვ.).

შატილის ერთი წელი: ოცნებიდან რეალობამდე



სურათზე: შატილობის დღესასწაული.

ი. დავითაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კოცონი პლატოზე აინთო — ერთადერთ ადგილას შატილში, სადაც ერთდროულად იმდენი კაცი შეიძლება შეიკრიბოს, რამდენიც აქ 8 ოქტომბერს, შაბათს იყო. შატილში ხევსურეთის დღესასწაულზე ჩამოსული ათას ორასი კაცი მოგიზგიზე კოცონის გარშემო შეჯგუფდა. ეს იყო უზარმაზარი კოცონი, და მან ბევრ რამეს მოჰფინა შუქი...

შატილის პლატოზე ანთებული კოცონი ხარკია ძველი ტრადიციისადმი: ასე ცეცლის შუქზე ათადან-ბაბადან ხევსურები იხილავდნენ ყველაზე მნიშვნელოვან და საჭიროროტო საქმეს. 8 ოქტომბერს ღამით კოცონთან შეკრებილ ხალხსაც ბევრი რამ ჰქონდა სათათბირო...

შატილი ეკონომიკური ოცნებაა. უპირატესად ეკონომიკური, რამეთუ უპირობა იქნებოდა შუა საუკუნეების ციხის აღდგენა არღუნზე, თუ არ განმტკიცდება ცხოვრების სამეურნეო ბალანსი იმათთვის, ვინც კვლავაც დაიცავს და სტუმრებს უჩვენებს ჩვენი ისტორიის ამ უნიკალურ ძეგლს. გზა დათვისჯვრის ეოელტეხილზე (2800 მეტრი ზღვის დონიდან), ტელევიზია ბარისახოში, ერთი წლის წინათ უნიკალურ, ჯერ არსად ნახულ საფუძველზე შექმნილი მეურნეობა — ოცნების რეალობად აქცევენ. საქართველოს სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირის წარმომადგენელმა საქმიანმა ადამიანებმა, რომლებსაც დაევალათ ეთავთ მხარის ათვისება, ოცნების ახდომას საქმიანი საფუძველი დაუდეს.

ხევსურეთის დღესასწაული იმისათვისაც გაიმართა, რომ დადასტურებულიყო ეს მოძრაობა — ოცნებიდან რეალობისაკენ. სწორედ ამიტომ ავიზგიზდა აქ კოცონი, რომ გაეშუქებინა აღორძინებული შატილის ერთი წლის სიცოცხლე. ფოლკლორის ცნობილი შემგროვებლის, შატილონი ალექსი ჭინჭარაულისა არ იყოს, იგი ააგიზგიზეს იმ ადგილას, რომელიც ხევსურთ წმინდა ადგილად აქვთ მიჩნეული. წმინდა ადგილებისადმი სათუთი დამოკიდებულება გულისხმობს მისდამი ერთგულ და დაუცხრომელ სამსახურსაც. შატილმა — მთელი საქართველოს წმიდათაწმიდა ადგილმა — ახლა ეს საკუთარ ბედზე გამოსცადა. სჯა-ბაასიც კოცონთან ამის გამო გაიმართა.

ცეცხლის ციალში ხან ერთი, ხან მეორე სახე გამოკრთება ხოლმე ჩვენს წინაშე. ვუყურებთ მათ და სულ უფრო მკაფიოდ ვხედავთ ხევსურეთში მომხდარი ამბების აზრს.

მზექალა ჭინჭარაულმა, ოთხმოცი წლის ბარისახოელმა სიცოცხლეში პირველად 8 ოქტომბრის დილას იხილა ტელევიზორი, რომელიც მაგიდაზე დადგეს ადგილობრივი სკოლა-ინტერნატის შესასვლელთან. ჩაბნელებული ეკრანი ჭალს ღრმა მორევად მოეჩვენა, მაგრამ, თითქოს ფოთლებში მზე გამოკრთთო, ეკრანზე ფერადი გამოსახულება გამოჩნდა. ვიღაცის შეუჩვეველ ხელს ვერა და ვერ გაემართა ბგერა, მზექალამ ვეღარ მოითმინა და წამოძახა: „თავ დაანებე, ვუყუროთ — ეს ხომ სასწაულია!“

მინდია ოჩიაურს, ბარისახოს სკოლა-ინტერნატის მეათეკლასელს წლეულს სამი თვის მანძილზე მჩქეფარე ცხოვრების გადატანა მოუწია. როცა ივნისში აქ რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს სპეციალისტები მოვიდნენ, რათა გადაეწყვეტათ, თითქოსდა, ტექნიკურად გადაუწყვეტელი ამოცანა, მინდიამ თავი გამოიდო, მე დაგეხმარებითო. ნოდარ შეთეკაურთან, ძმებთან ავთანდილ და ტარიელ ჭინჭარაულებთან, სხვა თანაკლასელებთან ერთად იგი ვერტმფრინავით ავტომანქანებისათვის მიუდგომელ კარატეს მთაზე ავიდა და იქ, 2622 მეტრ სიმაღლეზე, კავშირგაბმულობის მუშაკებს დაეხმარა დაკონტაქტებინან მიმღებ-გადამცემი აპარატურა, რომელიც მზის ბატარეებით იკვებება.

ირაკლი გოგიტიძე, საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს უფროსი:

— ჩვენ ვიზრუნებთ ამ ყმაწვილების მომავლისათვის, დავეხმარებით მათი მშობლიური მხარისათვის ესოდენ საჭირო პროფესიების არჩევაში.

ერთი საათის შემდეგ „საქგეოლოგიის“ უფროსმა გვიჩვენა გვირაბი, რომელიც კლდოვან მასივში გაპყავთ — მიმდინარეობდა ქანების გეოლოგიური დაზვერვა, რაც საჭიროა მომავალი ტრანსკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის მიმართულების განსაზღვრისათვის.

კიდევ ერთი საათის შემდეგ გეოლოგებმა ჩვენი ყურადღება მიაპყრეს მთის ფერდობს, სადაც გარემოს დაუზიანებლად შეიძლება ინერტული მასალების მოპოვება, რომლებსაც გამოიყენებენ შატილის გაუმჯობესებული ავტოგზის მშენებლობისათვის.

გიორგი ჭინჭარაული, იმ ორი ოჯახიდან ერთ-ერთი ორმოცი წლის თავკაცი, რომლებიც წელს

(დასასრული მე-4 გვ.).

მცხეთობა:

მოგელით ყველას!..

რესპუბლიკაში შესანიშნავ ტრადიციად დამკვიდრდა სახალხო დღესასწაულის „მცხეთობის“ გამართვა. ჩვენს მკითხველს აინტერესებს, როდის მოიწყობა წლეულს „მცხეთობა“ და რა სახალხეებს ითვალისწინებს სადღესასწაულო ღონისძიებანი? საქინფორმის კორესპონდენტმა საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიკომის პირველ მდივანს შ. ეცალაშვილს სთხოვა ეპასუხა ამ კითხვაზე.

— **შრომისა** და ჭირნახულის სახალხო დღესასწაული მცხეთობა, — თქვა მან, — გაიმართება კვირას, 16 ოქტომბერს. იგი დაემთხვა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის საპატიოს, რომლის აღსანიშნავად ჩვენს რაიონში დიდი მუშაობაა გაწეული. კერძოდ, აიგო ორი ხალხის ძმობის ძეგლები, თეატრონი, რომელიც ეშმარიტად საყოველთაო-სახალხო მშენებლობად იქცა. ტყე-პარკში, რომელიც არაგვისა და მტკვრის შესართავიდან ძველთაძველი ბებრის ციხის გალავნამდეა გადაჭიმული, გაშენდა რესპუბლიკაში ყველაზე დიდი ღიაცისქვეშა თეატრი. ბებრის ციხის მთის ფერდობები, რომლებიც დატერასებულია და ქვის დარიჯებია გაკეთებული, ბუნებრივი ამფითეატრი გახდა. და თუ ყველა სტუმარს არ ეყო „დასაჯდომი ადგილი“, არა უშავს-რა — თეატრონი ისეთი პრინციპით არის გაშენებული, რომ ყოველი მხრიდან მოჩანს, ხოლო გარშემო მთების ფერდობებზე ადგილის მეტი რა არის!

ერთი სიტყვით, სტუმრად მოველით ყველას, ვინც ჩვენს ლხინს გაიზიარებს.

ყოველ დღესასწაულს მაშინ ემატება განსაკუთრებული ეშხი, როდესაც მასპინძელი კარგ გუნებაზეა. ჩვენი

საბჭოების მუშაობა—დღევანდელ მოთხოვნათა დონეზე

(დასასრული)

და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის, შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, მოქალაქეთა მომსახურების გაუმჯობესების საკითხებს. განსახილველი საკითხების მომზადებაში აბამენ მუდმივ კომისიებს, დეპუტატებს და აქტივს.

დამტკიცდა სასურსათო პროგრამის რეალიზაციის ღონისძიებათა გეგმა. საბჭოს ინიციატივით შეიქმნა თევზსაჭერი მეურნეობა, წარმოებს მეცხოველეობის ფერმების მშენებლობა, ვითარდება პირადი დამხმარე მეურნეობანი, საზოგადოებრივ სექტორთან მოსახლეობის კოოპერირება. დაბის ტერიტორიაზე განლაგებულმა საწარმოებმა და ორგანიზაციებმა დაამზადეს 300 ტონაზე მეტი უხეში საკვები.

შესრულდა ამომრჩevლების განაწესთა უმეტესობა, უფრო რეგულარული გახდა საბჭოსა და მოსახლეობის წინაშე აღმასკომის ანგარიშგება.

ამასთან ერთად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც განიხილა კაზრეთის სადაბო საბჭოს მიერ დაბის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის გაწეული ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის საკითხი, მიიჩნია, რომ სადაბო საბჭო სრულად ვერ იყენებს თავის უფლებამოსილებას საქვეუწყებო ტერიტორიაზე სამეურნეო, სოციალური და სხვა საკითხების გადაწყვეტისათვის.

საბჭო არ ეწევა დაბის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების შეფუშავებას, არა აქვს მის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობისადმი კონტროლის ზუსტი სისტემა, ამისათვის საჭირო მოცულობის ინფორმაცია და შესაბამისი ეკონომიკური ანალიზი.

საბჭოს არ შეუქმნია რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მუდმივი კომისიები. დაბალია საბჭოს ზემოქმედების შედეგიანობა სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის. სათანადო სიმტკიცესა და პრინციპულობას ვერ იჩენს საბინაო-საყოფაცხოვრებო საკითხების გადაჭრაში, იმ მოქალაქეთა აღრიცხვის ორგანიზაციის სრულყოფაში, რომლებსაც საცხოვრებელი ფართობი ესაჭიროებათ, კომუნალური სამსახურების მუშაობის, საბინაო ფონდის დაცვა-შენახვის საკითხების გადაწყვეტისათვის.

საბჭო საკმაო ყურადღებას არ უთმობს დაბის კეთილმოწყობას, მის ტერიტორიაზე მწვანე ნარგაობათა ფართობის ზრდას. არ ინერგება ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციის პროგრესული ფორმები, არ სრულდება ცალკეულ სახეობათა მომსახურების გაწევის გეგმები, თითქმის არ იზრდება მათი რიცხვი.

საბჭო სათანადო მომთხოვნელობას არ იჩენს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობისადმი.

ყველა ეს ნაკლი და ხარვეზი იმით არის განპირობებული, რომ საბჭოს, მისი აღმასკომის, მუდმივი კომისიების ორგანიზატორული მუშაობა სუსტად არის დაკავშირებული სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობის კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტასთან, ფორმალიზმის დაღი ატყვია.

მუშაობის გეგმებს ადგენენ საზოგადოებრივი მოთხოვნილებისა და მშრომელთა აზრის სათანადო შესწავლის გარეშე. დაბის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები არ გამოაქვთ მოქალაქეთა განსახილველად, ხოლო საბჭოს, აღმასკომის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს იშვიათად აცნობებენ მოსახლეობას. სესიებზე, აღმასკომის სხდომებზე განსახილველ საკითხებს აკლია სიღრმე და კონკრეტული ანალიზი, ხოლო დადგენილებები შეიცავს ზოგად მოწოდებებს, არ არის განმტკიცებული საჭირო ორგანიზაციული ღონისძიებებით, მათი შესრულების კონტროლი ეპიზოდურ ხასიათს ატარებს.

საბჭოს აღმასკომი სუსტად ერკვევა დეპუტატთა საქმიანობაში, არ ეხმარება მათ დაგეგმვაში, მთავარ მიმართულებათა განსაზღვრაში, ადამიანის გამოცდილების, ცოდნისა და უნარის შესაბამისად.

ბოლნისის რაისაბჭოს აღმასკომი, ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას უთმობს ქვემდგომი საბჭოების საქმიანობის სრულყოფის საკითხებს, საარსებო სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტასთან მჭიდრო კავშირს.

პარტიის ბოლნისის, რაიკომი სუსტად იყენებს ადგილობრივი საბჭოების ფართო უფლებამოსილებას სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოცანების განხორციელებისათვის, ჯეროვან პარტიულ ზეგავლენას არ ახდენს მათს საქმიანობაზე კომუნისტი დეპუტატების მეშვეობით. საბჭოებში პარტიული ჯგუფები ფორმალურად ფუნქციონიერებენ, არ იხილავენ კომუნისტების მიერ დეპუტატის მოვალეობის შესრულებას, არ აფასებენ ამა თუ იმ მიმართულებით საბჭოების მუშაობის ეფექტიანობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ბოლნისის რაიონის კაზრეთის სახალხო დეპუტატთა სადაბო საბჭოს მუშაობა დაბის სოციალ-ეკონომიკური განვითარებისათვის არასაკმარისად მიიჩნია.

• • •

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიღებულ გადაწყვეტილებებში სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს დააკისრა მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის ფორმები და მეთოდები. ამასთან მან განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა მთელი მეცადინეობა მოახმარონ კანონის მიერ მათთვის მინიჭებული უფლებებისა და მოვალეობების რეალიზაციას საბჭოების საქმიანობის ყველა ძირითადი მიმართულებით, ყველა დარგში, ადგილობრივი უმნიშვნელოვანესი საკითხის გადაწყვეტაში თავიანთი სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაამყარონ უფრო ზუსტი სისტემატურობა მათ ტერიტორიაზე განლაგებული ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ურთიერთობაში, იმ თვალსაზრისით, რომ განახორციელონ ქმედითი კონტროლი მათ მიერ კანონმდებლობის დაცვისადმი და აღმოუჩინონ კონკრეტული დახმარება წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებაში, რეზერვების ძიებაში, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებაში, ყველა სახეობის რესურსების გამოყენებაში, მუშა-მოსამსახურეთა ცხოვრების დონის ამაღლებაში.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაევალათ ნიადაგ თვალთახედვის არეში იქონიონ ყველა დონის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საქმიანობა, თანამიმდევრულად განვითარონ და წაახალისონ მათი აქტიურობა და ინიციატივა, აუმაღლონ ავტორიტეტი, ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ მათ წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და მინისტრთა საბჭოს წინადადება მიეცათ გააუმჯობესონ ყველა დონის ადგილობრივი საბჭოების, მათი აღმასკომების საქმიანობის სხვადასხვა ასპექტის შესწავლა და თავიანთ სხდომებზე განხილვა, განუხრელად იღვაწონ, რათა კიდევ უფრო გააძლიერონ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტაში. (საქინფორმი).

ბამის მშენებლობაზე...

50 წლის შემდეგ

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს მიეძღვნა ჩვენი მოგზაურობა ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობაზე. „მოსფილმის“ დოკუმენტური ფილმების განყოფილებას გუგეა, რომ თბილისის ხალხთა მეგობრობის მუზეუმში ინახებოდა საბუთები, რომლებიც მოწმობს ქართველი ახალგაზრდა სპეციალისტთა მონაწილეობას ბაიკალ-ამურის მაგისტრალური რკინიგზის ხაზის დაგეგმარებასა და მშენებლობაში ჯერ კიდევ 1933 წლიდან.

ამ მიზნით თბილისში მოსკოვიდან საგანგებოდ ჩამოვიდნენ დოკუმენტური ფილმის (პიროსმანი სახელწოდება — „როცა ერთია სამშობლოს თაღი“) რეჟისორი ლ. ბაქრაძე და სცენარის ავტორი პ. სირხეზი, რომლებიც დაგეკავშირდნენ და, სათანადო ორგანიზაციებთან შეთანხმებით, გადაწყდა ჩვენი მონაწილეობა ამ საქმეში. სცენარის ავტორისა და რეჟისორის შეთანხმებული ჩანაფიქრით საჭირო იყო „ძველი ბამელები“ შეხვედროდნენ დღეგანდელ ბამზე მომუშავე ქართველ ახალგაზრდობას, რომელმაც მიიღო ესტაფეტა და გააგრძელა ის ტრადიცია, რომელიც ჩვენ ნახევარი საუკუნის წინთა დავამკვიდრეთ.

მიმდინარე წლის 7 ივნისს თბილისიდან მოსკოვს გავემგზავრეთ. 9 ივნისს მოსკოვიდან გავფრინდით ქ. ირკუტსკში, იქიდან კი ახალგაზრდა ქალაქ ბრატსკში. საინტერესო ის იყო, რომ ბრატსკში ყოფნის დროს არ შეგვხვედრია არც ერთი მოხუცი ადამიანი. მცხოვრებლები სულ ახალგაზრდები არიან და ქუჩებში უამრავი ბავშვი დადის. 50 წლის წინათ ბრატსკი ერთ-ერთ ყველაზე მყრუებულ სოფელს წარმოადგენდა ანგარისპირა ტაიგაში.

ერთი დღის შესვენების შემდეგ ჩავფრინდით ქალაქ უსტ-კუტში, რომელიც ციმბირის ერთ-ერთი უდიდესი მდინარის — ლენის ნაპირებზეა გაშენებული. იგი დიდი სატრანსპორტო კვანძია და აქედან მდინარე ლენის ფლოტით უკიდურესი ჩრდილოეთისა და იაკუტიის ასსრ სხვადასხვა დასახლებულ პუნქტში დიდძალი ტვირთი იგზავნება. საინტერესოა აღინიშნოს, რომ რკინიგზიდან სამდინარო ტრანსპორტზე გადასაცემი ტვირთი დღე-ღამეში ასობით ვაგონს აღემატება. ჩვენ კმაყოფილებით შევნიშნეთ, რომ ამ უზარმაზარ სატვირთო ოპერაციებს ხელმძღვანელობდა რკინიგზის ერთ-ერთი საექსპლოატაციო განყოფილების უფროსის მოადგილე, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის აღზრდილი ახალგაზრდა ინჟინერი ს. ჩხაიძე.

ქალაქ უსტ-კუტიდან, რომელიც ბამის დასავლეთი ნაწილის საწყისი სადგურია, მატარებლით გავემგზავრეთ 100 კილომეტრით დაშორებულ სადგურ ნიაში, რომელსაც აქ ნია-გრუზინსკაიას უწოდებენ.

როგორც ცნობილია, სადგური ნია და მთლიანად დაბა საქართველოს წარგზავნილებმა ააშენეს. ქართველ სპეციალისტთა ერთ ჯგუფთან ერთად ადგილობრივმა მოსახლეობამ ჩვენ გულთბილი შეხვედრა მოგვიწყო. დაბა ნიას მშენებლობის მთავარმა ინჟინერმა ვლადიმერ ჩომახაშვილმა აღნიშნა, რომ აქ ამჟამად დარჩენილია მშენებლების უკანასკნელი ჯგუფი, რომელმაც უნდა დაამთავროს ზოგიერთი საკომუნიკაციო სამუშაო.

თვით სპეციალურ სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის კოლექტივმა ინჟინერ ანზორ დვალიშვილის მეთაურობით ნიას შემდეგ ბამის ცენტრალურ ნაწილში, ჩიტის ოლქში გადაინაცვლა. იქ ახალ სადგურს იკაბის აშენებენ.

მშენებლობის უფროსის მოადგილე ომარ გაჩეჩილაძე, მთავარი ენერგეტიკოსი იური გიორგაძე, სამუშაოთა მწარმოებელი გოდერძი გვიჩია, მექანიკოსი ნუგზარ პატარაია და სხვები ნიაში დარჩნენ. აქ უკვე მოქმედებს ხეტყის სახერხი ქარხანა, სამშენებლო დეტალების დამამზადებელი სახელოსნო და საყოფაცხოვრებო ობიექტები. მდინარე ნია უხვად ამარაგებს მოყვარულ მეთევზეებს



პატარა ავტობუსის მძღოლი თემურ იმერლიშვილი კახეთის სოფელ ართანიდან ყოფილა. აქეთ სკოლის დამთავრების შემდეგ გამოუწევია, ციმბირის პირობებში თავის შესაძლებლობების გაგება გადაწყვეტია. თემურიმ იმ საღამოსვე გაგვაცნო თუში ბ. თხელიძე, რომელიც აქ უკვე ექვსი წელიწადია ცოლ-შვილიანად ცხოვრობს. მუშაობს ბამის მშენებლობაზე თვითსაცლელის მძღოლად. მისი ვაჟები დაუსწრებლად სწავლობენ ქ. ჩიტის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

ს. იკაბიიდან ავტობუსით ბამის მშენებარე ობიექტებზე გავემგზავრეთ. აქ მომუშავე რუსებმა, უკრაინელებმა, ბელორუსებმა და სხვა ეროვნების სპეციალისტებმა და მუშებმა საგანგებო შეხვედრა მოგვიწყვეს. სახელდახელოდ გამართულ მიტინგზე მათ აღნიშნეს, რომ ისინი დღეს მუშაობენ ჩვენ მიერ პირველად გაკვალულ გზაზე და აგრძელებენ ნახევარი საუკუნის წინ დაწყებულ საქმეს.

ამავე საღამოს საქართველოს წარგზავნილთა მიერ იკაბიაში აშენებულ შესანიშნავ კლუბში შეხვედრა უკვე ადგილობრივმა მოსახლეობამ მოგვიწყო. გამოსულებმა ილაპარაკეს რუსი და ქართველი ხალხის საუკუნეობრივ მეგობრობაზე.

ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის კვლევა-ძიებასა და დაგეგმარებაზე მუშაობა საბჭოთა მთავრობის დადგენილებით 1932 წლიდან დაიწყო. ამისათვის შეიქმნა საპროექტო ორგანიზაცია „ბამპროექტი“. 1933 წლიდან მაგისტრალის მთავარი მიმართულების სხვადასხვა უბანზე გაჩაღდა მოსამზადებელი სამუშაოები, რომლებშიაც სხვა ეროვნების სპეციალისტებთან ერთად ჩვენც ვმონაწილეობდით.

საერთოდ, 1933 წლიდან ჩვენი ქვეყანა შორეული აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის ათვისებას განსაკუთრებული გულმოდგინებით შეუდგა. სწორედ მაშინ დაიწყო ყინულმჭრელის „სიბირიაკოვი-სა“ და გემის „ჩელუსკინის“ ლეგენდარული რეისი ჩრდილოეთის საზღვაო გზის [illegible]

ჩვენ საბჭოთა კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის მოწოდებით გავემგზავრეთ ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობაზე სამუშაოდ. ჩვენთან ერთად საქართველოდან წამოვიდნენ ინჟინერები თ. გვიშიანი, გ. ჩიკვაიძე და შ. კანკავა. სამინისტროს მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსმა არ დეგეგიმალა, რომ მორეულ აღმოსავლეთსა და ციმბირში მუშაობა არ იქნებოდა იოლი და მზად უნდა გყოფილიყავით მოსალოდნელი სიძნელეების ასატანად. გვითხრა, რომ მძიმე კლიმატურმა პირობებმა, ცუდმა მოძარაგებამ, სამუშაოს რთულმა ხასიათმა შეიძლება არაერთხელ მოგანატროთ შინ დატოვებული სითბო და მყუდროება. მაგრამ იმდენად დიდი იყო ენთუზიაზმი, სწრაფვა უცნობი შორეთისაკენ, რომ ერთმა ჩვენთაგანმა უყოყმანოდ უპასუხა: „ამხანაგი შმიდტი „ჩელუსკინზე“ ყინულებში ებრძვის სტიქიას და ნუთუ ჩვენ ვერ შევძლებთ შორეულ ციმბირში მუშაობასო. შემდეგში, უკვე ადგილზე ყოფნის დროს, 50-გრადუსიანი ყინვებით შეწუხებულმა ამხანაგებმა ხუმრობით არაერთხელ მოაგონეს მას, შენ არ იყავი, აკადემიკოს შმიდტის ექსპედიციასთან რომ აპირებდი შეკიბრებასო? ჩვენ მაინც ავიტანეთ ყველაფერი — სიცივეც და გაჭირვებაც. იმ პერიოდში მშენებლობა და საკვლევაძიებო სამუშაოები ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფილი არ იყო, ამიტომ მშენებლობის ტემპიც გაცილებით დაბალი იყო.

საბჭოთა კავშირზე გერმანელი ფაშისტების თავდასხმის გამო ბამის მშენებლობა დროებით შეწყდა.

1967 წელს მთელ ბაიკალ-ამურის ტრასაზე საკვლევაძიებო სამუშაოები ხელახლა დაიწყო. ეს მოხდა იმიტომ, რომ ადრე გათვალისწინებული წევის სახეობა და ამასთან დაკავშირებით სხვა ტექნიკური პარამეტრები მთლიანად შეიცვალა.

1974 წელს გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სპეციალური დადგენილება „ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობის თაობაზე.

ბამის ტრასის კვლევა-ძიების და დაგეგმარების სამუშაოებში ძირითადად მონაწილეობდნენ სატრანსპორტო მშენებლობის და გზათა სამინისტროების ინსტიტუტები, სხვადასხვა სამინისტრო და ორგანიზაცია. ამიტომაც ამბობენ, ბამის დაგეგმარებას და მშენებლობას მთელი საბჭოთა კავშირი აწარმოებსო. სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა ურთულეს პირობებში აგებშენებინა სამი ათასზე მეტი მცირე, საშუალო და დიდი ხელოვნური ნაგებობანი, დაგემუშავებინა ოთხას მილიონ კუბურ მეტრზე მეტი გრუნტი და სამი ათას კილომეტრზე მეტ სიგრძეზე აგეგო მიწის ვაკისი, გაგეყვანა ათასთასამბი კილომეტრი სიგრძის წყალმომარაგების და კანალიზაციის ხაზები, ათობით კილომეტრი სიგრძის ბეტონის, აგებშენებინა 100-ზე მეტი ახალი ქალაქი და დასახლებული პუნქტი.

